სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № 17

ქ.ბოლნისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ შპს „ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური" (მის: ქალაქი ბოლნისი სულხან-საბას 106) წარმოდგენილი დირექტორის თეიმურაზ გაბიძაშვილის სახით (აქ და შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს .ი.მ გურამ მენთეშაშვილის (მის: ქ. ბოლნისი სულხან საბას 185) სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1 . ხელშეკრულების საგანი

1.1 „შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს საცხებ საპოხი მასალები . (დანართი №1) შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 505 (ხუთას ხუთი) ლარი.

3. საქონლის მიწოდების ვადა

3.1 „მიმწოდებელი" საქონლის მიწოდებას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს 2022 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

4. მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მიწოდებული საქონელი ჩაითვლება სრულად მიღებულად, მხარეების მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შემსრულებლის მხრიდან შესაბამისი ანგარიშ - ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშწორებით, მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ ანგარიშწორების ანგარიშზე.
5.2 ანგარიშწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:
ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისათვის გადაუხადოს „შემსრულებელს" გაწეული საქონლის ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

6.2„მიმწოდებელი” ვალდებულია:

ა) დროულად შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება/მომსახურეობის გაწევა.

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს “შემსყიდველს” საქონლის მიწოდებისას მომსახურეობის გაწევისას წარმოქმნილი მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება მოქმედებაში შედის ორივე მხარის ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2022 წლის 25 ივლისის ჩათვლით.

9 . დავების გადაწყვეტა

9.1 მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაწყვიტონ წარმოშობილი საკამათო საკითხები და გაუგებრობა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ფარგლებში, მოლაპარაკებათა საშუალებით.

9.2 თუ მხარეები ვერ გადაწყვეტენ წარმოშობილ საკამათო საკითხებს, მაშინ საკითხი გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შპს „ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური”-ს დირექტორი თეიმურაზ გაბიძაშვილი.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, შეცვლა, შეწყვეტა.

11.1 „შემსყიდველს” შეუძლია შეუწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს თუ დაფიქსირდება „მიმწოდებლის” მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, და გადაახდევინოს „მიმწოდებელს” პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.2„შემსყიდველი” უფლებამოსილია „მიმწოდებელს” დააკისროს პირგასამტეხლო სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილებისას ყოველი დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %ის ოდენობით ან/და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა „მიმწოდებელს” არ ანთავისუფლებს 12.1 და 12.2 პუნქტებში დაფიქსირებული პირგასამტეხლოებისაგან.

11.4 „შემსყიდველს” შეუძლია ცვლილება შეიტანოს ხელშეკრულებაში ნებისმიერ დროს ორივე მხარის შეთანხმების შემთხვევაში თუ აღნიშნული არ ცვლის ხელშეკრულების ძირითად აზრს

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ორ იდენტურ ეგზემპლარს, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

შპს„ბოლნიის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური”
ს\კ 425358409 ა\ა
ს.ს. „თიბისი ბანკი“ TBCBGE22
ანგ. N GE35TB7132436070100001

Teimuraz Gabidzashvili 10001004471
Digitally signed by Teimuraz Gabidzashvili
Date: 2022.06.15 11:06:26

დირექტორი: თ.გაბიძაშვილი

„მიმწოდებელი “

ი.მ. გურამ მენთეშაშვილი
ს\კ 10001004833
ა\ა GE981BG 0000000916201100
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22

Guram Menteshashvili 10001004833
Digitally signed by Guram Menteshashvili
Date: 2022.06.16 18:42:50

ფასების ცხრილი #1

CPV	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ფასი	ჯამი
24951311	ანტიფრიზი	10	14.00	140.00
44832200	გამხსნელი	4	10,00	40,00
24910000	წებო დაისონი	4	15.00	60.00
24951100	ტაოტი	1	160.00	160.00
09211600	ჰიდრავლიკის სითხე	5	3.00	15.00
09211650	სამუხრუჭე სითხე	3	10.00	30.00
24963000	ჟანგის მომხსნელი	6	10.00	60.00
	სულ ჯამი			505.00